დანართი N2

„ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების "
ქვეპროგრამის კონკურსის
ჩატარების წესი

1. ინფორმაცია ქვეპროგრამის შესახებ

ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია კონკურსის წესით შეირჩეს ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულ ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების და მშობლებში პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს.

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური /ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება/.

3. პრობლემის განსაზღვრა

ა) ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ბავშვთა სიღარიბე და ბავშვთა მიმართ ძალადობა კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოს ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემისათვის. ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზა არის ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება.

ბ) ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია კონკურსის წესით შეირჩეს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისა და მშობლებში პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

4. ქვეპროგრამის მიზანი

მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს, კერძოდ: ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახებთან სოციალური მუშაკების ჩართულობა ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომების გზით, ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება. „ბავშვის უფლებათა კოდექსის" მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

5. მოსალოდნელი შედეგი

ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე/შემოსავალზე ეხმარება მშობლებს/მზრუნველებს ინვესტირება განახორციელონ მათი შვილების სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის, ღირსების დაცვის, კეთილდღეობის, უსაფრთხოების,

სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვაში.

6. ქვეპროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

7. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი

1. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან, სულ მცირე ერთს მაინც აკმაყოფილებს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახი, 120 001 -მდე სარეიტინგო ქულით;

ბ) გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახი /სოციალური მუშაკის დასკვნით დადასტურებული, კრიზისულ მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახი/;

გ) ერთ-ერთი მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს;

დ) ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ სუსტი თანადგომის ქსელი /საფუძველი: სოციალური მუშაკის დასკვნა/;

ე) ბავშვიანი ოჯახები, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია;

ვ) ოჯახი, სადაც ერთი მშობელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია;

2. ქვეპროგრამაში ჩართვის წინ, მომსახურების მიმღებ პოტენციურ მონაწილესთან უნდა მოხდეს ფორმალური შეთანხმება, რომ აუცილებლად დაესწროს ყველა სესიას, რადგან პროცესი არის დინამიური, თანმიმდევრული, უწყვეტი (ამასთან, წინა სესიების თეორიული მასალის განმტკიცება ხდება მომდევნო სესიაზე პრაქტიკული სავარჯიშოებით). ჯგუფში ჩართული იყოს ერთ-ერთი მშობელი ან ოჯახის სხვა უფლებამოსილი პირი, სასურველია ბავშვის აღზრდის უშუალო მონაწილე.

3.ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველი ვალდებულებას იღებს ურთიერთ თანამშრომლობაზე. სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკების მიერ. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაცია გადაეცემა ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმღები ბენეფიციარის კუთხით იმუშავებს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია. საბოლოო ჯამში, სოციალური მუშაკისა და მომსახურების მომწოდებლის დასკვნის საფუძველზე, ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის კუთხით გადაწყვეტილებას მიიღებს ქვეპროგრამის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი

4. ქვეპროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს „მრავალშვიანი ოჯახების მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის" ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები.

5.ქვეპროგრამის პროცესში, მომსახურების მიღების მიზნით შეირჩევა მაქსიმუმ 10 ოჯახი.

8. ქვეპროგრამის მოქმედების ვადა

ქვეპროგრამის მოქმედების ვადაა საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის საერთო ბიუჯეტია 70 000 ლარი.

ა/ ბავშვიანი ოჯახების ეკონომიური გაძლიერება-5000 ლარი.

ბ/ მშობლებში პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები - 8000 ლარი.

გ/ ადმინისტრაციული ხარჯი - 12000 ლარი

10. ქვეპროგრამის აღწერა

1. კონკურსის წესით გამოვლენილმა მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციამ, ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, უნდა განახორციელოს ქვეპროგრამაში მონაწილე თითოეული ოჯახის მხარდაჭერა მომსახურების ან/და საქონლის/პროდუქტის შესყიდვის სახით, შემდეგი მიზნებისთვის:
ა) პროფესიული გადამზადება/სტაჟირება დასაქმებისთვის;
ბ) შემოსავლების მომტანი საქმიანობის წამოწყება (მათ შორის თვითდასაქმების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის ან სხვა სფეროში);
გ) ინვენტარის შეძენა თვით-დასაქმება/დასაქმებისთვის და სხვა, საჭიროებისამებრ.
2. ქვეპროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში, თითოეულ შემთხვევაზე, ოჯახების მხარდაჭერა განისაზღვრება არაუმეტეს 5000 ლარის ოდენობით
3. კონკურსის წესით შერჩეულმა ორგანიზაციამ, მშობლებში პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:
4. ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახებში ბავშვის აღზრდის საკითხებზე ცოდნისა და პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესების მიზნით ისეთი აქტივობების განხორციელება, რომელიც შეამცირებს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფით გავლენას ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე, კერძოდ:
ა) ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს მშობელსა და ბავშვს შორის ეფექტურ კომუნიკაციას;
ბ) მშობელსა და ბავშვს შორის თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
გ) მშობლის ხელშეწყობით ბავშვებში და მოზარდებში სოციალური კომპეტენციის განვითარებასა და პრობლემური ქცევის შემცირებას;
დ) ასაკობრივი თავისებურებების და სირთულეების გაცნობას;
გ) მშობელის/კანონიერი წარმომადგენელის მიერ პრობლემური სიტუაციის სწორად გაანალიზებას;
ე) მშობლის სოციალური უნარებისა და ოჯახის დაგეგმარების დასწავლას.
5. პროგრამაში მონაწილე მშობლებს/მზრუნველებს, ბავშვის აღზრდის საკითხებზე ცოდნასა და პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მუშაობა უნდა ჩატარდეს ჯგუფური ფორმატით, ინტერაქციული სწავლების მეთოდების და კონკრეტული უნარ-ჩვევების განმავითარებელი სავარჯიშოების გამოყენებით, წინასწარ წარმოდგენილი ტრენინგ-მოდულით, რომელიც ორგანიზააციის მიერ არის ადაპტირებული და ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას. ერთი სატრენინგო ჯგუფი უნდა მოიცავდეს არანაკლებ 10 სესიას, რომელიც ჩატარდება კვირაში ორჯერ. მონაწილეთა რაოდენობა /თითოეულ სესიაზე მინიმუმ 5 მონაწილე/ განისაზღვრება ქვეპროგრამაში შერჩეული ოჯახების სრულწლოვანი წევრის რაოდენობის მიხედვით, 10 ბენეფიციარი.
6. აღნიშნულ კომპონენტში ჯგუფურ მუშაობას ჩაატარებს ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი, რომელთაც უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და მსგავსი ტიპის პროგრამაში მონაწილეობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება. გარდა ამისა, შერჩეულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ანალოგიური საქმიანობის განხორციელების არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.
7. იმისათვის, რომ მიზანი იყოს შედეგზე ორიენტირებული და სოციალური სამუშაო მობილური და ეფექტიანი გახდეს, აუცილებელია ოჯახის ეკონომიკური გაძლიერების და პოზიტიური მშობლობის გაძლიერების კომპონენტები მოწოდებული იქნას ერთი ორგანიზაციის მიერ. ბენეფიციარისთვის ორივე კომპონენტი მომსახურების მომწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ერთდროულად.

11. ანაზღაურების წესი

ა/ წინასწარი ანგარიშწორების საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, საავანსო თანხის გაცემის მოცულობა განისაზღვროს დროებითი კომისიის გადაწყვეტილებით.

ბ/ შესრულებული სამუშაო ანაზღაურდება ეტაპობრივად, წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაციის შესაბამისად.

12. კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ორგანიზაციებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) საკონკურსო პროგრამის სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება;
ბ) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის ქონა;
გ) პროექტის მართვის უნარი.
დ) ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების გამოცდილება.
2. საკონკურსო განაცხადის ფორმა შევსებული უნდა იყოს სრულყოფილად და თან ერთვოდეს საჭირო დოკუმენტაცია.
3. საკონკურსო განაცხადი მიღებული უნდა იყოს მიღებისთვის დადგენილ ვადაში.
4.საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, კომისია იწყებს საკონკურსო განაცხადების შერჩევას პრიორიტეტულობის კრიტერიუმების მიხედვით და შემდეგ მათ დეტალურ შეფასებას და შემოწმებას.
5. შესაძლებელია კოალიციური ერთი ან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა.

13. საკონკურსო განაცხადების წარდგენის პროცედურები

ა) დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საკონკურსო განაცხადი უნდა წარმოადგინონ სოციალურ საკითხთა სამსახურში (მის: ნ.დუმბაძის ქ.N61).
ბ) დაგვიანებით შემოსული განაცხადები არ განიხილება.
გ) ყველა განაცხადის გადამოწმება მოხდება სისრულის თვალსაზრისით.
დ) წარმოდგენილი განაცხადები შეფასდება დადგენილი საკვალიფიკაციო და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
ე) საკონკუსო განაცხადების წარდგენისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, კომისია იწყებს საკონკურსო განაცხადების შემოწმებას. შემოწმების მიზანია წარმოდგენილი განაცხადების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

14. დოკუმენტების წარმოდგენა

კომისიას წარედგინება:
ა) პროექტის განაცხადი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) ერთი ეგზემპლიარი, ბეჭდური სახით და ასევე ელექტრონული ვერსია, დალუქული კონვერტით.
ბ) უახლესი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. (იურიდიული პირებისათვის)
გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.
დ) იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში იგეგმება სახელმწიფო ინსტიტუტებთან ან/ და მედია და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, ამ ორგანიზაციების თანხმობის წერილი.

15. საკონკურსო განაცხადების შერჩევის, შეფასების პროცესი და გადაწყვეტილების შეტყობინება

1. საკონკურსო განაცხადების შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ. დაფინანსება/თანადაფინანსების გაცემის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი დასკვნის საფუძველზე იღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.
2. კომისიის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ განაცხადებს. საკონკურსო განაცხადთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, შერჩევის პროცედურების დროს მოწმდება:
ა) არის თუ არა წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია.
ბ) არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოდგენილი შესაბამისი ფორმის დაცვით.
3. განაცხადი, რომელიც არ შეიცავს საკონკურსო განაცხადით დადგენილ სრულ მოთხოვნებს, არ განიხილება.
4. საკონკურსო განაცხადის გახსნის შემდეგ მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.
5. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს კონკურსანტებს მოსთხოვოს წერილობითი განმარტება მათ განაცხადებში წარმოდგენილი ინფორმაციების დაზუსტების მიზნით.
6. საკონკურსო კომისია განაცხადების განხილვასა და შეფასებას უზრუნველყოფს დადგენილ ვადაში.
7. შეფასება განხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, 1 - 5 ქულამდე შეფასების სისტემით:
ა) მხარდამჭერი პროგრამების განხორციელების გამოცდილება;
ბ) მოიცავს თუ არა განაცხადი პროცესის შემადგენელ სხვადასხვა ეტაპებს (გადამზადება, დაფინანსება, განხორციელება, მონიტორინგი);
გ) პროექტების შერჩევის კრიტერიუმები და წესი;
დ) პროექტი მართვის გამოცდილება.
8. კომისიის მიერ მიღებული დასკვნა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.
9. ყველა კონკურსანტს, კონკურსში მიღებული შედეგების შესახებ ეცნობება სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წერილობით. საკონკურსო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს **5** სამუშაო დღისა.
10. კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე - www.kutaisi.gov.ge

16. კონტროლი და ანგარიშგება

კონკურსის შედეგად გამოვლენილი ორგანიზია ვალდებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში წარადგინოს ყოველი ორი თვის ანგარიში პროექტის/პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

17. ვადები

1. კონკურსის გამოცხადება - 2025 წლის 9 ივნისი.
2. საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა - 2025 წლის 18 ივნისი.
3. საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული განცხადების შეფასება არაუგვიანეს - 2025 წლის 20 ივნისი.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი